დანართი # 1

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მომზადების სარედაქციო საბჭოს რეგლამენტი

1. ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მომზადების სარედაქციო საბჭოს (შემდეგში „სარედაქციო საბჭო“) რეგლამენტი განსაზღვრავს სარედაქციო საბჭოს, მისი თავმჯდომარისა და წევრების საქმიანობის წესს, შინაარსსა და პროცედურებს.
2. სარედაქციო საბჭო შედგება სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სარედაქციო საბჭოს სწავლული მდივნის, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და სარედაქციო საბჭოს ტექნიკური მდივნისაგან;
3. სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს და ხელმძღვანელობს სარედაქციო საბჭოს სხდომებს, რომელიც იმართება ყოველ 6 თვეში ერთხელ (სარედაქციო საბჭოს სხდომა შესაძლოა მოწვეულიქნას რიგგარეშედაც);

ბ) იწვევს სარედაქციო საბჭოს წევრებად მეცნიერების სხვადასხვა დარგის გამოჩენილ წარმომადგენლებს;

გ) იწვევს ტექსტოლოგიური კომისიაში პერიოდულად მომუშავე წევრებს ტექსტოლოგიური კომისიის ხელმძღვანელის წარდგინებით;

დ) პირადად იღებს გადაწყვეტილებას სხდომის დღის წესრიგში ამა თუ იმ საკითხის შეტანის თაობაზე;

ე) ხელს აწერს სარედაქციო საბჭოს სახელით ყველა წერილობით მასალას;

4. სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას და ასრულებს მის მოვალეობას;
5. სარედაქციო საბჭოს სწავლული მდივანია ტექსტოლოგიური კომისიის ხელმძღვანე-ლი;
6. სარედაქციო საბჭოს სწავლული მდივანი:

ა) შეიმუშავებს და წარუდგენს სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეს სხდომის დღის წესრიგის პროექტს;

ბ) თვალყურს ადევნებს სარედაქციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობას და აკონტროლებს ტექნიკური მდივნის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ზუსტ ფიქსაციას;

გ) უზრუნველყოფს სარედაქციო საბჭოზე მიღებული რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების მიხედვით ტექსტოლოგიური კომისიის მუშაობას;

7. სარედაქციო საბჭოს წევრები:

ა) მონაწილეობენ სარედაქციო საბჭოს სხდომების მუშაობაში;

ბ) გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს განსახილველად გამოტანილ საკითხებზე;

გ) მოითხოვენ რომელიმე საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას;

დ) ხმას აძლევენ მათთვის მისაღებ წინადადებას;

8. სარედაქციო საბჭოს ტექნიკური მდივანია ტექსტოლოგიური კომისიის მდივანი, რომელიც ესწრება სარედაქციო საბჭოს სხდომებს და ადგენს ამ სხდომის ოქმებს, მაგრამ არ სარგებლობს გადაწყვეტილების მიღებისა და განხილვის პროცესში

მონაწილეობის უფლებით. იგი ოქმში დეტალურად აფიქსირებს თითოეული მომხსენებლის თუ გამომსვლელის სიტყვას და სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებას;

9. სარედაქციო საბჭო:

ა) არჩევს და ამტკიცებს, როგორც ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის, ისე თითოეული ტომის მოცულობასა და შინაარსობლივ შედგენილობას;

ბ) ნიშნავს თითოეული ტომის რედაქტორს;

გ) იხილავს ივანე ჯავახიშვილის სრული აკადემიური კრებულის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს მათი გადაჭრის რეკომენდაციებს;

დ) სარედაქციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სარედაქციო საბჭოს წევრთა უმრავლესობა და საკითხს წყვეტს დამსწრეთა უმრავლესობით;

10. ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მომზადებაზე მუშაობს „ივანე ჯავახიშვილის შრომების კვლევის ტექსტოლოგიური კომისია“ (შემდეგში „ტექსტოლოგიური კომისია“) და იგი არის ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოსაცემად მომზადებისათვის მეცნიერის მემკვიდრეობის კვლევის ძირითადი ორგანო;

11. ტექსტოლოგიური კომისიის ფუნქციებია:

ა) ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა;

ბ) ივანე ჯავახიშვილის შრომების ხელნაწერებისა და ნაბეჭდი მასალების დეტალური ტექსტოლოგიური კვლევა;

გ) ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის დაკომპლექტება და თითოეული ტომის თემატური შემადგენლობისა და თანმიმდევრობის განსაზღვრა;

12. ტექსტოლოგიური კომისიის ხელმძღვანელი სარედაქციო საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს:

ა) პერიოდულად (წელიწადში ორჯერ) გაწეული მუშაობის ანგარიშს;

ბ) მიმდინარე პრობლემების მოსაგვარებელი წინადადებების ნუსხას;

გ) ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის დაკომპლექტების კონცეფციას და თითოეული ტომის შედგენილობის ზუსტ ჩამონათვალს;

დ) ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის თითოეული ტომის რედაქტორის კანდიდატურას;

ე) ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის თითოეული მომზადებულ, რედაქტირებულ ტომს.

13. ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის თითოეული ტომის რედაქტორი მჭიდროდ თანამშრომლობს ტექსტოლოგიურ კომისიასთან და ვალდებულია ტექსტოლოგიურ კომისიას მისთვის გამოყოფილი ვადის ფარგლებში ჩააბაროს რედაქტირებული ტომის მასალები;

14. ტექსტოლოგიური კომისია იხილავს რედაქტორის მიერ გაწეულ სამუშაოს და ორივე - მოწონების თუ დაწუნების - შემთხვევაში წარუდგენს მას სარედაქციო საბჭოს;

15. სარედაქციო საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის თითოეული მომზადებული ტომის განხილვისას მომხსენებელია

ამ ტომის რედაქტორი, ხოლო მისი ოპონენტია ტექსტოლოგიური კომისიის ხელმძღვანელი;

16. სარედაქციო საბჭო იხილავს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის თითოეულ ტომს და მოწონების შემთხვევაში იძლევა მისი დაბეჭდვის ნებართვას;
17. სარედაქციო საბჭო უფლებამოსილებას წყვეტს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის ბოლო ტომის გამოცემის შემდეგ;
18. ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის ბოლო ტომად ქვეყნდება სარედაქციო საბჭოს სხდომების ოქმები და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.